საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "04" 11 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1521/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 28 ოქტომბერს N 23874/03 განცხადებით კომპანია „ევროლუქსის"-ის წარმომადგენელმა ელდარ აბაზ ოღლმა (მის: ლილოს დას. 5 კვ.კორპ. 2, ბინა 108, 0198, თბილისი) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „EUROLUX" (რეგ. N 23874) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „EUROLUX" (რეგ. N 23874) საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართველოზე გავრცელებულია 02.08.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 02.08.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-7, მე-9, მე-11 და 21-ე კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „EUROLUX" (რეგ. N 23874) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 422), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 04.11.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; კომპანია „ევროლუქსის"-ის წარმომადგენელს ელდარ აბაზ ოღლს (მის: ლილოს დას. 5 კვ.კორპ. 2, ბინა 108, 0198, თბილისი)

ასლი დედანთან სწორია
"0" 11 2013წ.
ხელმოწერა

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი"

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

EUROLUX

EUROLUX

რეგ. N 23874

მფლობელი: შპს „ევროლუქსი"

მისამართი: ლილოს დას. 5 კვ.კორპ. 2, ბინა 108, 0198, თბილისი, საქართველო

კლასი: 7 - მანქანები და ჩარხები; მოტორები და ძრავები (მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილის გარდა); შეერთებები და გადაცემის ელემენტები (მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილის გარდა); სასოფლო-სამეურნეო იარაღები, განსხვავებულნი ხელის იარაღებისაგან; ინკუბატორები.

9 - სამეცნიერო, საზღვაო, გეოდეზიური, ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული, ოპტიკური, ამწონი, გამზომი, სასიგნალო, საკონტროლო (შემოწმების), სამაშველო და სასწავლო ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; ელექტრობის გადაცემის, განაწილების, გარდაქმნის, დაგროვების, რეგულირების ან მართვის ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; ხმის ან გამოსახულების ჩამწერი, გადამცემი და აღმწარმოებელი აპარატურა; ინფორმაციის მაგნიტური მატარებლები, ხმის ჩამწერი დისკები; სავაჭრო ავტომატები და მექანიზმები აპარატებისათვის წინასწარი გადახდით; სალაროს აპარატები, საანგარიშო მანქანები, ინფორმაციის დასამუშავებელი აღჭურვილობა და კომპიუტერები; ცეცხლმქრობები.

11 - განათების, გათბობის, ორთქლწარმოქმნის, საკვები პროდუქტის თბური დამუშავების, გასაცივებელი, საშრობი, ვენტილაციის, წყალგამანაწილებელი და სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობები.

21 - საოჯახო და სამზარეულო ჭურჭელი და ჭურჭლეული; სავარცხლები და ღრუბლები; ჯაგრისები (ფუნჯების გარდა); მასალები ჯაგრისის ნაკეთობისათვის; სამარჯვები წმენდისა და დასუფთავებისათვის; ლითონის ნეჭა; დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული მინა (სამშენებლო მინის გარდა); მინის, ფაიფურისა და ქაშანურის ნაკეთობა, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს.